



სტატისტიკური ანგარიში საქართველო, 2021 წ

აივ ინფიცირებულთა და მაღალი რისკის
ჯგუფების წარმომადგენლების უფლებათა დარღვევა



ACESO




EQUALITY MOVEMENT
თანასწორობის მოძრაობა



სამართლებრივი გარემო

საქართველოში კვლავ მაღალია სტიგმის და კრიმინალიზაციის დონე მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიმართ. ნარკოტიკის მომხმარებლებთან, სექს-მუშაკ ქალებთან, აივ ინფიცირებულებთან მიმართებაში მოქმედებს ისეთი კანონები, რომლებიც ახდენს მათ პიროვნებასთან და ქრონიკულ დაავადებებთან დაკავშირებული ქმედებების ან უმოქმედების სისხლის სამართლით გათვალისწინებულ პირდაპირ აკრძალვას.



უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები

REAct-ის შესახებ

REAct (უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები) შემუშავებულია ორგანიზაცია **Frontline AIDS**-ის მიერ (დიდი ბრიტანეთი) და წარმოადგენს თემის დონეზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე მონიტორინგის და რეაგირების ინსტრუმენტს.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში REAct ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსის მიერ, რეგიონული პროექტის “აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მაღალი რისკის პოპულაციებისათვის მდგრადი აივ სერვისების უზრუნველყოფა” (SoS) ფარგლებში, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

REAct იძლევა აივ-ინფექციის, ტუბერკულოზის და ჰეპატიტიტების პროფილაქტიკის და მკურნალობის სერვისებთან წვდომისას, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბარიერების დოკუმენტირების და რეაგირების შესაძლებლობას.



გაიგეთ მეტი
REAct-ის შესახებ

<https://react-aph.org/>

დანერგვის მასშტაბი

ძირითადი განმახორციელებელი პარტნიორი – ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი. ქსელი თანამშრომლობს 17 სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც აწვდიან მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლებს ფართო სპექტრის მომსახურებას, მათ შორის იურიდიული მომსახურება და სერვისი ქალებისთვის.


საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი აწვდის პროექტს ტექნიკურ დახმარებას ბაზის ფუნქციონირების, გენერირებული ინფორმაციის ანალიზის და ადვოკატირების სტრატეგიული მიზნების დასახვის თვალსაზრისით.

2019 წელს საპილოტედ პროექტის განხორციელება დაიწყო მხოლოდ თბილისში. 2020 წლიდან კი პროექტი გაფართოვდა მთელი საქართველოს მასშტაბით. 2021 წლის ბოლომდე REAct-ს ბაზა გაფართოვდა და მოიცავდა 7 ქალაქს: ბათუმს, ქუთაისს, სამტრედია, გორს, ოზურგეთს, რუსთავს, თბილისს.



რეგიონში დარეგისტრირებული შემთხვევათა რაოდენობა


თბილისი	112
გურია	103
ქვემო ქართლი	1
იმერეთი	367
აჭარა	6
შიდა ქართლი	1
სამეგრელო/ზემო სვანეთი	3
კახეთი	3
მცხეთა-მთიანეთი	2
არ არის მითითებული	35



მიმართვების საერთო რაოდენობიდან, **46%** მიეკუთვნება სექს-მუშაკებს (ქალი, მამაკაცი).


ადამიანის უფლებათა დარღვევის დამნაშავეებიდან **92%** წამოადგენს კერძო პირს. 134 შემთხვევა – ცემა სიძულვილის ნიადაგზე, 51 შემთხვევა – სექსუალური მეძიებლობა/ ძალადობა.

აივ ინფიცირებულთა უფლებების დარღვევა – სულ **1%**, და ყველა შემთხვევა დაკავშირებულია ადამიანებთან, რომლებიც მიეკუთვნებიან ნარკომომხმარებელთა და სექს-მუშაკთა გადამკვეთ ჯგუფს.



* ჯგუფების მიხედვით დეტალური ჩამლა იხილეთ ცხრილში

ყველა ჯგუფის გენდერულ – ასაკობრივი სტრუქტურა



დეტალური ჩაშლა ჯგუფების მიხედვით

მაღალი რისკ-ჯგუფი

	საერთო რაოდენობა	აქედან:													
		ავი პოზიტიური	ნარკომომხმარებელი	სექს-მუშაკი (ქალი, მამაკაცი)	ღებტიქ	ღებტიქ- მსმ	ღებტიქ – ტრანს* პირები	პატიმარი	ყოფილი პატიმარი	ტუბერკულოზით დაზარალებული	C ჰეპატიტის მქონე პირი	შშმ პირი	მიგრანტი-მუშა	ალკოჰოლის მომხმარებელი	ნიმ-ის სქესობრივი პარტნიორი
ავი პოზიტიური	10	0	7	1	2	1	0	0	2	0	1	0	0	0	0
ნარკომომხმარებელი	243	7	0	10	7	6	1	3	26	2	28	1	0	1	0
სექს-მუშაკი (ქალი, მამაკაცი)	289	1	10	0	19	7	12	0	7	0	3	1	2	2	13
ღებტიქ	123	2	7	19	0	93	21	1	0	0	1	0	0	0	0
ღებტიქ-მსმ	93	1	6	7	93	0	0	1	0	0	1	0	0	0	0
ღებტიქ – ტრანს* პირები	21	0	1	12	21	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
პატიმარი	3	0	3	0	1	1	0	0	0	0	1	0	0	0	0
ყოფილი პატიმარი	33	2	26	7	0	0	0	0	0	0	11	0	0	0	0
ტუბერკულოზით დაზარალებული	2	0	2	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1
C ჰეპატიტის მქონე პირი	30	1	28	3	1	1	0	1	11	1	0	0	0	0	2
შშმ პირი	1	0	1	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
მიგრანტი-მუშა	2	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ალკოჰოლის მომხმარებელი	3	0	1	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ნიმ-ის სქესობრივი პარტნიორი	23	0	0	13	0	0	0	0	0	1	2	0	0	0	0
სულ	0	14	92	77	144	109	34	6	46	4	49	2	2	3	16

ზოგადი სტატისტიკა


2021 წელს ყველა რისკ-ჯგუფის მიმართვის საფუძველზე

78,6% ყველა დარეგისტრირებული შემთხვევიდან მიეცა ადამიანის შემთხვევას უფლებათა დარღვევის კვალიფიკაცია


დანარჩენ შემთხვევებს მიეცათ სოციალური საკითხების მენეჯმენტის ან იურიდიული კონსულტირების კვალიფიკაცია, რომლებიც არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევასა და დისკრიმინაციასთან.

ძირითადი დამრღვევები

(ყველა კლიენტის უფლებების, სქესის და რისკ-ჯგუფის მიუხედავად)




დეტალური ჩაშლა ყველა რისკ-ჯგუფზე




აივ ინფიცირებულები

9
აივ ინფიცირებულმა
შეატყობინეს რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევების შესახებ და მიიღეს სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება 2021 წელს


აივ ინფიცირებულთა უფლებების დარღვევების ძირითადი კატეგორიები



აივ ინფიცირებულთა უფლებების დარღვევების ძირითადი სახეობები



აივ ინფიცირებულთა უფლებების დარღვევის ძირითადი სახეობები



აივ ინფიცირებულები შემთხვევების მაგალითები

კერძო პირების მიერ ცემა სიძულვილის ნიადაგზე

23 წლის მამაკაცი, 2021 წლის იანვარი.

კლიენტი არის აივ ინფიცირებული. ჩვენთან მიიღო დადასტურება, ჩვენ ჩავრთეთ არც მკურნალობაში. ამის შემდეგ მეგობრობს ჩემთან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით. მუშაობს სუპერმარკეტში, სადაც შეუყვარდა კოლეგა. გოგონას მხრიდანაც იყო საპასუხო გრძნობა. ჩემი რჩევით გახსნა გოგონასთან აივ სტატუსი. რაღაც პერიოდის შემდეგ, გოგონამ მოუყვა ამის შესახებ თავის ძმას. ეგონა რომ გაუგებდა მას. მაგრამ მას საპირისპირო რეაქცია ჰქონდა. იგი ფიზიკურად დაესხა ჩემს კლიენტს. აღარ უშვებს დას სამსახურში. ემუქრება კლიენტს, რომ თუ ეწეება მის დასთან დაახლოების მცდელობა, უარესი დაემართება.

შედეგი: რეაქტორმა გააგზავნა კლიენტი ფსიქოლოგთან. კლიენტი თავს ოდნავ უკეთ გრძნობს.



ორსულობის აღრიცხვაზე უარი, გინეკოლოგიურ მომსახურებაზე/გამოკვლევაზე უარი

42 წლის ქალი. 2021 წლის ივნისი. აივ ინფიცირებული.

ცხოვრობს რაიონულ ცენტრში, არ მალავს სტატუსს და ამის შესახებ რაიონში ბევრმა იცის. კლიენტი იცავს უსაფრთხოებას. რაიონულ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკებში მას უარს ეუბნებიან მომსახურებაზე მიზეზით, თუ მას დაინახავენ, სხვები აღარ მივლენ კბილების სამკურნალოდ.


შედეგი: კლიენტმა მონახა სხვა კლინიკა XX-ში და იქ ჩაიტარებს მკურნალობას. საქმის გადაწყვეტაზე უარი თქვა.

სამსახურიდან დათხოვა/სამსახურში მიღებაზე უარი

28 წლის მამაკაცი. 2021 წლის ივნისი.

კლიენტი აივ ინფიცირებულია. მუშაობს კონსულტანტად სუპერმარკეტში, მალავს სტატუსს, დამქირავებელმა შეიტყო მისი სტატუსის შესახებ და მოითხოვა მისი გათავისუფლება. კლიენტმა სთხოვა რეაქტორს დალაპარაკებოდა უფროსს, რადგანაც ეს სამსახური მისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

შედეგი: რეაქტორმა აწარმოა მოლაპარაკებები. ყველაფერი მოგვარდა კლიენტის სასარგებლოდ. კლიენტი აგრძელებს პრობლემების გარეშე მუშაობას.



ჰოსპიტალური მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე უარი

41 წლის მამაკაცი. 2021 წლის ივნისი.

ბენეფიციარი იმყოფება სასჯელაღსრულების კოლონიაში №XX. არის აივ ინფიცირებული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. დამოუკიდებლად ვერ იღებს საკვებს, აქვს ცუდი მხედველობა. თხოვნის მიუხედავად, ექიმი არ მიდის მის გასასინჯად და ეს გრძელდება რამდენიმე თვე (ბოლო 6 თვე). კლიენტს უსაჭიროება სასწრაფო სამედიცინო შემოწმება.

შედეგი: ჩატარდა კონსულტაციები ადვოკატთან, პენიტენციურ დაწესებულებასთან და უფლებების საზოგადოებრივ დამცველთან. ექიმებმა ჩატარეს პირველადი შემოწმება.



* ყველა სახელი შეცვლილია უსაფრთხოების მიზნისთვის


შეატყობინეს რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევების შესახებ და მიიღეს სამართლებრივი კონსულტაცია 2021 წელს. აქედან:

245 ნარკომომხმარებელმა


63% მოიხმარდა ინექციურ ნარკოტიკს

37% მოიხმარდა არაინექციურ ნარკოტიკს


ნარკომომხმარებლების უფლებათა დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



ნარკომომხმარებლების უფლებათა დამრღვევების ძირითადი სახეობები



ნარკომომხმარებელთა უფლებათა დარღვევის ძირითადი სახეობები



ნარკომომხმარებლები


შემთხვევების მაგალითები

სხვა სამედიცინო მონაცემების
(აივ-ის და ტბ-ის სტატუსის გარდა)
გამჟღავნება/ოჯახური ძალადობა

45 წლის ქალი. 2021 წლის მაისი.

ბენეფიციარი ჩართულია ჩანაცვლებით თერაპიაში. ოჯახის წევრებმა შეიტყვეს პერსონალისგან ნარკოტიკის მოხმარების და პროგრამაში მონაწილეობის შესახებ. კლიენტი განიცდის დიდ ფსიქოლოგიურ სტრესს, ოჯახურ ძალადობას. არის საშიშროება, რომ მას გააგდებენ სახლიდან. ამ ეტაპზე ვცდილობთ მოვიძიოთ ალტერნატიული საცხოვრისი.

შედეგი: ამ ეტაპზე გადაწყდა მოვიძიოთ ალტერნატიული საცხოვრისი.



ექიმების დაუდევრობით
გამოწვეული ჯანმრთელობის
მდგომარეობის გაუარესება:

41 წლის მამაკაცი. 2021 წლის ივლისი.

ბენეფიციარი არის ნარკომომხმარებელი, იმყოფება მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაზე. პირველად მივიდა დოზის დასაღვევად. ექიმს აერია დოზა და კლიენტმა დიდი დოზა დალია. რის შემდეგ მას მოგვიანებით დაემართა ზედოზირება. საბედნიეროდ, უკვე რაიონში იყო და იგი ნალოქსონის მეშვეობით გამოიყვანეს მდგომარეობიდან. ნალოქსონი იქ დატოვა თანასწორმა კონსულტანტმა, მეგობრები დაეხმარეს ინექცირებაში. როგორც თავად ამბობს, სხვა პრეპარატები არ დაუმატებია. რეაქტორმა შესთავაზა ადვოკატის მომსახურება, მაგრამ კლიენტმა უარი განაცხადა.

შედეგი: კლიენტმა უარი განაცხადა საქმის გადაწყვეტაზე.



ნარკომომხმარებლები

შემთხვევების მაგალითები

ოჩო-ზე და ნარკოლოგიურ დახმარებაზე წვდომის ბარიერები

თანამშრომლობის (ინფორმატორად გახდომის) იძულება

33 წლის მამაკაცი. 2021 წლის სექტემბერი.

კლიენტი კოვიდ-ით ინფიცირების გამო მოათავსეს კარანტინში. იგი ვერ ღებულობდა ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისს, რადგანაც მისთვის მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის ფარგლებში განკუთვნილი პრეპარატი არ გადაეცემა სხვა პირებს. არ არსებობს კავშირი დაწესებულებებს შორის.

შედეგი: დაიგეგმა და განხორციელდა კავშირი ოჯახის ექიმთან. გაკეთდა განცხადება, რომ ოჩო სამსახური სხვა პირის მეშვეობით მიაწვდის მას მეტადონს.



26 წლის მამაკაცი. 2021 წლის იანვარი.

კლიენტი არის ყოფილი პატიმარი. მოიხდა ორი სასჯელი ნარკოტიკის მოხმარების გამო. ერთ-ერთი პოლიციელი მოსვენებას არ აძლევს და მოითხოვს, რომ მიიყვანოს ნარკომოვაჭრესთან. ყოველ ჯერზე, როდესაც კლიენტი სახლიდან გამოდის, მას ჩხრევენ და ემუქრებიან. კლიენტი ამბობს, რომ არ აძლევს მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობას.

შედეგი: საქმე არის გადაწყვეტის პროცესში.

ოჯახური ძალადობა

35 წლის ქალი. 2021 წლის დეკემბერი.

ბენეფიციარი არის ნარკომომხმარებელი. ცხოვრობს მუდმივ პარტნიორთან, რომელიც ასევე მომხმარებელია. პერიოდულად, ალკოჰოლის/ნარკოტიკის შემოქმედების ქვეშ ყოფნისას, მამაკაცი ფიზიკურად უსწორდება მას, ასევე აყენებს შურაცხყოფას – ქალი ხომ ნარკომანია.

ქალს ძალიან ეშინია დახმარების თხოვნა და ერგება სიტუაციას.


შედეგი: ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა, რომ ქალი დარწმუნდეს იმაში, რომ ითხოვოს დახმარება.




292 შეატყობინეს რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევის შესახებ და მიიღეს სამართლებრივი სექს-მუშაკმა კონსულტაცია 2021 წელს. აქედან:

93,3% ქალები 2,4% მამაკაცები 4,3% ტრანს*ქალები

სექს-მუშაკების უფლებათა დამრღვევების ძირითადი კატეგორიები




სექს-მუშაკების უფლებათა დამრღვევების ძირითადი სახეობები



31.12.2021 მდგომარეობით

სექს-მუშაკი ქალების უფლებების დარღვევის ძირითადი სახეობები



სექს- მუშაკი ქალები/მამაკაცები

შემთხვევების მაგალითები

უარი დაცვაზე და გამოძიებაზე
სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან:

28 წლის ქალი. 2021 წლის თებერვალი.

ბენეფიციარის თქმით, უცნობი ადამიანები შურაცხყოფას აყენებდნენ და ამცირებდნენ ქუჩაში ყოველგვარი მიზეზის გარეშე. გვერდით იდგა საპატრულო პოლიცია. მაგრამ არ ჩაერია.

შედეგი: კლიენტს ჩაუტარეს კონსულტაცია უფლებების დაცვის შესახებ.

პროსტიტუციის იძულება:

28 წლის ქალი. 2021 წლის თებერვალი.

ბენეფიციარი დაკავებულია სექს-სამუშაოით. ცხოვრობს მეგობრის ბინაში თავის მეგობარ გოგონასთან ერთად. ბინის მეპატრონე მუდმივად აიძულებს ქალებს, სამუშაოზე გასვლას, რათა მათ რაც შეიძლება მეტი ფული გამოიმუშაონ და მას მიუტანონ. ამბობს, რომ ამ გოგონების მფლობელია. ისინი ამჯობინებენ ჩუმად იყვნენ, რადგანაც არსად აქვთ წასასვლელი.

შედეგი: კლიენტს არ სურს საქმის მოგვარება, შიშის გამო.

მკვლელობა/მკვლელობის მცდელობა

30 წლის ქალი. 2021 წლის ივნისი.

სექს-მუშაკ ქალზე, რომელსაც ჰყავს მუდმივი კლიენტი, მოახდინეს თავდასხმა. კლიენტის ცოლმა, ეჭვიანობის გამო, გადაასხა ხსნარი, რომ გამოეწვია დამწვრობა. კლიენტს არ სურს საქმის გადაწყვეტა პარტნიორის თხოვნის გამო.

შედეგი: კლიენტს არ სურს საქმის გადაწყვეტა.

უარი ჰოსპიტალური და სხვა სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე:

28 წლის მამაკაცი. 2021 წლის ივნისი.

დაკავებულია სექს-სამუშაოით. მოუწია პროტოკოლთან ვიზიტი. კონსულტაციის პროცესში გაირვა კლიენტის შემოსავლის წყარო. ექიმმა რიგი მიზეზების გამო უარი უთხრა მკურნალობაზე. კლიენტმა მიმართა რეაქტორს. რეაქტორი გაჰყვა კლიენტს ექიმთან და განუმარტა ექიმს ბენეფიციარის უფლებები.

შედეგი: რეაქტორი შეხვდა ექიმს და განუმარტა ბენეფიციარის უფლებები. ექიმმა ჩაწერა ბენეფიციარი განმეორებით მიღებაზე.

სექსუალური მეძიებლობა/ძალადობა:

43 წლის ქალი. 2021 წლის აგვისტო.

ბენეფიციარი ცხოვრობს ოჯახთან ერთად და განიცდის სექსუალურ მეძიებლობას სიძის (დის ქმარი) მხრიდან. არ შეუძლია ამ ფაქტის გამჟღავნება, რადგანაც მან არ დაუჯერებენ. სიძე ამანტაჟებს და ემუქრება, რომ გაამჟღავნებს ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ. კლიენტს მოუწია სახლიდან წასვლა. ამჟამად დროებით ცხოვრობს მეგობართან ერთად. თუმცა სიძის სატელეფონო ზარები ახდენს მასზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას.

შედეგი: არ აპირებს ჩივილს. არ სურს საქმის გახმაურება.

* ყველა სახელი შეცვლილია უსაფრთხოების მიზნისთვის


მსმ და ტრანს* პირები

124
ლგბტიქ


შეატყობინეს რეაქტორებს მათი უფლებების დარღვევის შესახებ და მიიღეს იურიდიული კონსულტაცია 2021 წელს. აქედან:

77,6%	16,5%	5,1%	0,8%
მამაკაცი, რომელსაც აქვს სექსი მამაკაცთან	ტრანს* ქალი	ჰეტეროსექსუალი ქალი	ტრანს* მამაკაცი


მსმ და ტრანს* პირების უფლებების დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



მსმ და ტრანს* პირების უფლებების დამრღვევების ძირითადი კატეგორიები



მსმ და ტრანს* პირების უფლებების დარღვევის ძირითადი სახეობები



მსმ და ტრანს* პირები


შემთხვევების მაგალითები

სექსუალური ძალადობა/გამოსახლება,საცხოვრებელი ადგილის დატოვების იძულება:

22 წლის მამაკაცი. 2021 წლის დეკემბერი.

კლიენტი არის მსმ. ძალად იდენტიობას ოჯახისგან. იგი გამოიცნო მეზობელმა ბიჭმა და უკვე რამდენიმე თვეა რაც მასზე სექსუალურად ძალადობს. ბოლოს, კლიენტმა უარი თქვა სექსზე. მეზობელმა გახსნა მისი იდენტიობა მშობლებთან. ბენეფიციარი გახდა სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. იგი გააგდეს სახლიდან ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრისი.

შედეგი: საქმე არ არის გადაწყვეტილი.



უარი საზოგადოებრივ მომსახურებაზე:


23 წლის ტრანს*ქალი. 2021 წლის თებერვალი.

კლიენტი არის ტრანსგენდერი. იმყოფებოდა სილამაზის სალონში, უნდოდა თმების დავარცხნა და ფრჩხილების გაკეთება. სალონში გამოთქვეს უკმაყოფილება და სთხოვეს დაეტოვებინა იქაურობა.

შედეგი: კლიენტმა არ მოინდომა საქმის გადაწყვეტა.

ოჯახური ძალადობა:

სამსახურიდან დათხოვა/სამსახურში მიღებაზე უარი:



16 წლის მამაკაცი. 2021 წლის იანვარი.

16 წლის ბიჭის სექსუალური კუთვნილება მშობლებმა შემთხვევით აღმოაჩინეს სატელეფონო საუბრისას. იგი გააგდეს სახლიდან და მიადანეს: “თუ სახლში დაბრუნდები, ღორივით ყელს გამოგჭრი. ჩვენ აღარ გყავს შვილი”. რეაქტორი ესაუბრა ბენეფიციარს. მას არსად ჰქონდა წასასვლელი.

შედეგი: საქმე გადაწყვეტის პროცესშია.


43 წლის მამაკაცი. 2021 წლის ივნისი.

ბენეფიციარი მუშაობდა ერთ-ერთი რაიონული ცენტრის კაფეში მენეჯერად. მისი იდენტიობის შესახებ შეიტყეს ადგილობრივებმა. დაიწყო ფსიქოლოგიური ზეწოლა. არუელობის თავიდან ასაცილებლად, მფლობელმა დაითხოვა სამსახურიდან. კლიენტმა დაიქირავა ადვოკატი, აპირებს გასაჩივრებას.

შედეგი: კლიენტმა არ ისურვა საქმის გადაწყვეტა.



შემთხვევის სტატუსი და მომსახურება



- არ არის გადაწყვეტილი – კლიენტს
- არ სურს საქმის გადაწყვეტა
- დახმარება მიეწოდა, გადაწყვეტა დადებითად
- არ იყო გადაწყვეტის საჭიროება
- არ არის გადაწყვეტილი – კლიენტი
- არ გამოდის კავშირზე
- დახმარება მიეწოდა, გადაწყვეტა უარყოფითად
- პროცესი მიმდინარეობს, დახმარება მიეწოდება
- არ არის გადაწყვეტილი – დახმარება
- არ მიეწოდებოდა

გაიგეთ მეტი REAct-ის სისტემის რეაგირების მეთოდოლოგიის შესახებ

მიწოდებული სერვისის დასახელება

